

ს ა წ ა რ მ ო ს ბ ა ლ ა ნ ს ი

2022 წლის 31 დეკემბრისათვის

საფირმო სახელწოდება	შპს "პერმესი"
ორგანიზაციულ სამართებლივი ფორმა	შპს
იურიდიული მისამართი	მოციქულთა სწორი ნინოს ქ. №2ა
დარგი (საქმიანობის სახე)	სარიტუალო მომსახურება
ზომის ერთეული	ლარი

აქტივები

კოდი
(სტრიქ.)

წლის
დასაწყის-ში

საანდარიშო
პერიოდის
ბოლოს

მიმდინარე აქტივები

ნაღდი ფული საღაროში	(1100)	010		
ფული საბანკო ანგარიშზე	(1200)	020	2 428 221.98	1 092 367.38
მოკლე ვადიანი ინვესტიციები	(1300)	030		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(1410)	040	413 640.92	427 425.52
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ	(1420)	041		
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება	(1415)	050	1 108.49	1 108.49
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	(1430)	060	1 253.37	2 096.87
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	(1460)	070		
სხვა მიმდინარე აქტივები	(1900)		155 921.79	204 753.19
გადახდილი დღგ	(3340)	071		
საშემოსავლო გადასახადი	(3320)	080		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	(1480)		13 671.64	14 424.04
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(1490)	090	5 875.71	
სულ მიმდინარე აქტივები			3 019 693.90	1 742 175.49
სასაქონლო მატერიალური მარაგი				
საქონელი	(1610)	110	45 213.86	95 673.79
ნედლეული და მასალები	(1620)	120	77 544.88	79 667.65
დაუმთავრებელი წარმოება	(1630)	130		
მზა პროდუქცია	(1640)	140	25 232.30	90 016.84
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	(1690)	150	3 751.03	3 751.03
წინასწარ გაწეული ხარჯი	(1700)	160		
სხვა მიმდინარე აქტივები	(1900)	170		
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი			151 742.07	269 109.31
გრძელვადიანი აქტივები				
მიწის ნაკვეთები	(2110)	190	401 956.62	401 956.62
დაუმთავრებელი მშენებლობა	(2120)	200	119 299.83	224 734.94
დაუმონტაჟებული მოწყობილობა	(2120)	200	12 885.00	12 885.00
შენობა-ნაგებობა	(2130)	210	2 279 079.58	2 280 062.21
მანქანა-დანადგარები	(2150)	220	33 295.14	30 631.55
ოფისის აღჭურვილობა	(2160)	230	104 156.39	113 543.97
სატრანსპორტო საშუალებები	(2180)	240	228 278.70	429 929.47
სხვა ძირითადი საშუალებები		250	82 035.36	69 923.08
გრძელვადიანი მოთხოვნები	(2300)	260		
გადავადებული საგადასახადო აქტივი	(2340)	270		
გრძელვადიანი ინვესტიციები	(2400)	280		
არამატერიალური აქტივები	(2500)	290	16 568.44	14 071.42
სულ გრძელვადიანი აქტივები			3 277 555.06	3 577 738.26
სულ აქტივები			6 448 991.03	5 589 023.06

პ ა ს ი ვ ი

მიმდინარე ვალდებულებები

	კოდი (სტრიქ.)	წლის დასაწყისში	საანდარიშო პერიოდის ბოლოს
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები (3110)	310	91 511.70	66 026.83
მიღებული ავანსები (3120)	320	11 419.58	17 298.50
გადასახდელი ხელფასი (3130)	330	42 372.78	32 088.26
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე (3170)	331		
მოკლევადიანი სესხები (3210)	340		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი (3230)	350		
გადასახდელი მოგების გადასახადი (3310)	360		
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი (3320)	370		
გადასახდელი დღგ (3330)	380		
გადასახდელი აქციზი (3350)	390		
სოციალური გადასახადი (3370)	400	6 155.58	7 091.93
სხვა საგადასახადო ვალდებულებები (3390)	410	255.55	
გადასახდელი პროცენტები (3410)	420		
გადასახდელი დივიდენდები (3420)	430		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (3190)	440	15 471.49	13 187.15
სულ მიმდინარე ვალდებულებები		167 186.68	135 692.67
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები (4100)	460		
გადავადებული მოგების გადასახადი (4210)	470		
ანარიცხები (4300)	480		
გადავადებული შემოსავალი (4410)	481		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები (4220)	490		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (5100)	510	1 215 686.96	1 215 686.96
სარეზერვო კაპიტალი (რეზერვები) (5410)	520	82 978.83	82 978.83
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (5420)	520	103 675.88	103 675.88
სხვა რეზერვები და მიმდინარე დაფინანსება (5490)	530	419 141.00	419 141.19
გაუნაწილებელი მოგება (5310)	540	4 460 321.68	4 266 806.68
დაუფარავი ზარალი (5320)	550	-	-634 959.15
სულ საკუთარი კაპიტალი	560	6 281 804.35	5 453 330.39
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		6 448 991.03	5 589 023.06

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ბ. მელიქიძე

ს. ჯიშკა



შპს "პერმესი"
მოგება – ზარალის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2022 წელი	2021 წელი
#	დასახელება	თანხა	თანხა
1	სულ შემოსავალი:	4 371 787.57	5 354 444.80
	საოპერაციო შემოსავლები	4 102 114.70	5 127 356.17
	არასაოპერაციო შემოსავლები	269 672.87	227 088.63
2	სულ ხარჯები:	5 006 746.72	4 593 538.10
	საოპერაციო ხარჯები	4 995 842.08	4 583 559.08
	მ.შ.		
	მიწოდების ხარჯები	2023	-
	საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	4 802 263.94	4 369 336.93
	გაყიდული საქონლის თვითღირებულება	183 375.76	208 760.79
	მოგების ხარჯი	8 179.38	5 461.36
	არასაოპერაციო ხარჯები	10 904.64	9 979.02
3	მოგება (საერთო შემოსავალს მინუს საერთო ხარჯი)	-634 959.15	760 906.70

შპს "პერმესის" დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



ნოდარ რაზმაძე

პარტენ ყურუა

შპს "ჰერმესის" 2022 წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი	2020 წელი ლარი
1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2 428 221.98	1 685 232.05	1 625 400.19
2 მიდევნებებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4 169 317.26	5 215 148.98	5 123 000.64
3 არასაკონტრაქტო შემოსავლები მ.შ.			
ა) ბანკის % შემოსავალი	206 630.51	221 872.35	173 897.54
ბ) იჯაროდან შემოსავალი	200 454.59	206 968.14	148 092.72
გ) კურსთაშორის სხვაობა	4 120.00	10 351.00	11 004.00
დ) სხვა შემოსავალი	2 026.43	4 553.21	14 187.59
	29.49	-	613.23
სულ შემოსავლები	4 375 947.77	5 437 021.33	5 296 898.18
4 მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	1 003 661.20	851 043.81	881 309.49
5 თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები ხელფ	3 103 931.71	2 801 135.92	2 547 821.28
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები საქვ	699.9		
6 ძირითადი საშუალებების შეძენა მ.შ.			
ა) სასაფლაოების ადმ შენობების კაპიტალიზაცია	611 407.30	140 202.36	863 912.24
ბ) სხვა ძირითადი საშუალებები	251 830.32	100 359.57	-
	359 576.98	39 842.79	863 912.24
7 საგადასახადო ვალდებულებათა განადგება (დღგ, ქონება, მიწის, საშემოსავლო, მოგება)	867 000.00	791 408.00	777 854.00
8 ხელფასზე გადახდილი საპენსიო გადასახადი	116 300.00	103 800.00	93 600.00

9 გადახდილი ავანსები	3 663.62	-	310.00
10 გადახდილი დივიდენდი	-	-	60 151.00
11 ზარალი საკურსო სხვაობიდან	5 088.64	6 441.31	10 923.01
12 სხვა არასაოპერაციო ხარჯი	50.00	-	1 185.30
სულ გასული თანხები	5 711 802.37	4 694 031.40	5 237 066.32
13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს	1 092 367.38	2 428 221.98	1 685 232.05
14 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტის ზრდა/კლება	-1 335 854.60	742 989.93	59 831.86

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

ნოდარ რაზმაძე

პართენ ყურუა



სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ჰერმესი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 202888349, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 1997 წლის 19 აგვისტოს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, მოციქულთა სწორი ნინოს ქ. 2ა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სარიტუალო და დაკრძალვასთან დაკავშირებული მომსახურება. საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

„კომპანიის“ დირექტორი არის ნოდარ რაზმაძე (პ/ნ.01001027654); ხოლო დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის ქ. თბილისის მერია. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის ხელმძღვანელობის მოთხოვნით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2022 წლის 15 სექტემბერს.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიას წინა პერიოდის (2022 წ) ფინანსური ანგარიშგება გამოშვებული აქვს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანია“ ზარალზეა, რაც გამოწვეულია, 2022 წლის განმავლობაში კომპანიის საერთო შემოსავალმა ნაცვლად გეგმიური 5806900 ლარისა შეადგინა 4371759 ლარი რაც 1435140 ლარით ნაკლებია დაგეგმილ მაჩვენებელზე.

აღნიშნული გარღვევა ძირითადად გამოწვეულია:

- დაკრძალვებიდან მისაღები შემოსავალი, გასულ წელთან შედარებით შემცირებულია და ნაცვლად გეგმით განსაზღვრული 2 600 000 ლარისა შეადგინა 2 171 505 ლარი ანუ 428 494 ლარით ნაკლები;

- ზონირებულ ადგილებში სამარხის გამოყოფის, მე-3 და შემდგომი ადგილების დამატებიდან მისაღები შემოსავალი (ადგილის გამოყოფის საფასური) ნაცვლად 1 700 000 ლარისა ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 1254250 ლარი ანუ 445750 ლარით ნაკლები;
- წინასწარ ჩასხმული ცოკოლების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა ნაცვლად 600000 ლარისა შეადგინა 131186 ლარი ანუ 468 813 ნაკლები.

სულ შემოსავლების სამი პოზიციიდან ბიუჯეტს დააკლდა 1343057 ლარი რამაც ძირითადად განაპირობა 2022 წლის ბიუჯეტის შეუსრულებლობა.

თუმცა „კომპანია“ წარსულში მომგებიანი იყო და ფინანსური რესურსები მისთვის დღესაც ხელმისაწვდომია. ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საწარმოს აქვს რესურსი მიუხედავად მიღებული ზარალისა ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

1. „კომპანია“ წარსულში მომგებიანი იყო და მომავალშიც მომგებიანი იქნება
2. 2022 წელს „კომპანია“ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი ფინანსური საქმიანობის განსახორციელებლად.
3. 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

„კომპანია“ იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებით.

უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას ასეთის არსებობის შემთხვევაში კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი

კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად „კომპანია“ იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც პერიოდულად ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება „კომპანია“ ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. და მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან შეზღუდული.

„კომპანია“ არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შემდეგ. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

„კომპანია“ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივზე ამორტიზაციას არ წყვეტს მაშინაც, როცა არამატერიალური აქტივი არ გამოიყენება, გარდა ისეთი შემთხვევისა როცა ის ბოლომდეა ამორტიზირებული ან კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალოს შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს. წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

კომპანიას ფინანსური აქტივები გააჩნია საბანკო ანგარიშზე განთავსებული თავისუფალ სახსრებზე ყოველთვიურად დარიცხული საპროცენტო შემოსავლის სახით. ხოლო ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ არის მოგება, რომელიც აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობის მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება ფასდება იმისდა მიხედვით, მისი შესრულება დამოკიდებულია თუ არა გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე ან შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება მკაფიოდ არ

არის მითითებული შეთანხმებაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. „კომპანიის“ ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული

გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ

გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს.

ბალანსის ახსნა-განმარტებები

ძირითადი
საშუალებები

ავეჯი,
ოფისის

მიწა დაუძთავრე დაუმო შენობა- სატრანსპ მანქ ადჭურვი სულ
ბელი ბელი ნტაქებ ნაგებობებ ორტო ანა- ლობა
მშენებლობ ა ელი ქონება ები დანად და სხვა
ინვენტარი

ნაშთი პ.დ	401 957	119 300	12 885	2 279 078	228 278	32 279	187 210	3 260 987
შემოსვლა	0	106 026	0	123 567	287 541	0	38 743	555 877
გადაფასება	0	0	0	0	0	0	0	0
გასვლა	0	0	0	3 921	0	0	0	3921
31 დეკემბერი 2022								
ცვეთა და გაუფასურება	0	591	0	118 663	85 890	2 664	41 468	249 276
წმინდა საბალანსო ღირებულება	401 957	224 735	12 885	2 280 063	429 929	30 615	184 485	3 563 667

არამატერიალური აქტივები

		სულ
31 დეკემბერი 2021		
ნაშთი პ.დ	0	16 568
შემოსვლა		0
გადაფასება	0	0
გასვლა	0	0
31 დეკემბერი 2022		
ცვეთა და გაუფასურება	0	2 497
31 დეკემბერი 2022		
წმინდა საბალანსო ღირებულება		14 071

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2022
ნაღდი ფული სალაროში	0
ნაღდი ფული საბანკო ანგარიშებზე	1 092 367
სულ	1 092 367

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	430 630,88
სულ	430 630,88

მარაგები	2022
საქონელი	95 674
ნედლეული და მასალები	83 418
მზა პროდუქცია	90 017
სულ	269 109

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2022
სავაჭრო ვალდებულებები	83 325
საგადასახადო ვალდებულებები	7 092
სხვა ვალდებულებები	13 187
სულ	103 604

შრომით საქმიანობის გასამრჯელოები	2022
გადასახდელი ხელფასები	32 088
სულ	32 088

სრული შემოსავლის ანგარიშების დანართები

ამონაგები

	2022
საქონლის გაყიდვა	303 267
მომსახურების გაწევა	3 803 078
სულ	4 106 345

	2022
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი	
ცვეთა ამორტიზაცია	251 773
სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი	764 887
სულ	1 016 660

პერსონალის დანახარჯი

	2021
შრომის ანაზღაურება	3 777 148
სულ	3 777 148

25. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი:

ნოდარ რაზმაძე

(Handwritten signature)

